



ხეყვანი

1918 წ. 1-15



1918 წ. - № 1 ორშაბათი, იანვრის 1 - ფასი 50 კაპ. შეღიშ დი მეექვსე გამოცემის

მუილევა 1918 წ. ხელის მოწერა

# მოგვილოცავს ახალი წელი

5884



\*\*\*  
 მოგვილოცავს ახალი წელი,  
 ახალი წელი, სანატრელი,  
 მო. დავძახოთ თავისუფლად,  
 ქართველურად აბა დელი!

\*\*\*  
 ბორკილ-ქსნილი ამირანი  
 ძღვევს სროშით დაგვენახოს  
 მასთან ერთად გამარჯვების  
 უღვევლი დღე გვენახოს!..

შეგა შექანდურე

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას  
 თავისუფალ საქართველოში!  
 (ნახატი ლ. გულიაშვილისა)



ახალი წელი—

—ახალი რწმენა!

გულ დაობებული ცხოვრება ადამიანისა მუდამ „ახალი წელი“-თ ფიქრობს განახლებას.

განახლებაშია წინდი ჩვენის მომავლისა.

მუდმივ მონობით, ცრემლთა ფრქვევით და უსამართლო დევნით წარსულმა ბევრი ღუბჭირი შეამთხვია ჩვენს ქვეყანას...

დაობდა ცხოვრება და განახლების ზარს ცის მანნასავით მოკლოდა...

და ეს ზარი ჩვენთვისაც ჩამორეკა გასულ წლის რევოლიუციამ.

წარსულ საუკუნეში გამოქედილი ხუნდი მონობისა ჩვენმა ქვეყანამ დაღეწა, მაგრამ სამუდამოდ კი ჯერ კიდევ ვერ ჩამოიხსნა...

ძველი წესწყობილების დანგრევა ახალის შენება გასულმა წელმა დაიწყო...

გასულმა წელმა საქართველოს დაბა ქალაქები მთლად დემოკრატიას ჩაუგდო ხელში...

გასულმა წელმა ჩვენი დემოკრატია გააერთიანა და შეაქმნევინა ეროვნული საბჭო, რომელმაც თავს იღვა ჩვენის ქვეყნის მესვეურობა... გასულმა წელმა ჩვენი ეროვნულ-საზოგადოებრივ ცხოვრების მთლიანი შენობის საძირკველი ჩაპყარა და ამ საძირკველზე მკვიდრი კედლების აშენება ახალ წელს გადმოსცა.

გასულმა წელმა ერთის ეროვნულ-ხალხოსნურის გრძნობით სულიერად აღაფრთოვანა მთელი ჩვენი ერის ნაწილები—მუშები, გლეხები, ჯარი, თავად-აზნაურობა, ინტელიგენცია,—ამ ახალმა წელმა უნდა გაფურჩქნოს ჩვენი ერის შემკრებლობითი სულის ძალა.

ჩვენს მისწრაფებას, მწერლობას, თეატრს, მუსიკას, საერთოდ ხელოვნებას, ვაჭრობა-მრეწველობას და პრაქტიკულ მუშაობას გასულ წელს ამოძრავება დაეტყო,—მომავალმა წელმა უნდა დაავიროვინოს ჩვენი გულის ნადები.

გასულ წელს ჩვენი დემოკრატიის

მიერ აფრიალებული ეროვნული დროშა მომავალ წელს კიდევ უფრო მალლა უნდა აიწიოს და საქართველომ მოიპოვოს თავისუფალი, დამოუკიდებელი, მშვიდობიანი ცხოვრება!

ახალმა წელმა ეს ახალი რწმენა უნდა განუმტკიცოს ყველა ჩვენგანს, ყველა ქართველს, საქართველოს ყველა ერთგულ შვილს!

ჩვენის ქვეყნის საერთო შენობის ასაგებად ყველა ჩვენგანმა თითო აგური, თ თო ბეშვი კარი არ უნდა დაზოგოს.

ერთად, ერთად, ვისაც უნდა ჩვენი სანთელიც ენთოს!

დაე, კვლავ გაჭირვება გავდგეს, დაე, კვლავ სიმშლი, სიტიტველე, ტანჯვა გველოდეს, დაე, ჩვენი ქვეყნის ზოგი გარეწარი შვილი, ქალაქად თუ სოფლად, თავისი შეუზნებლობით კიდევ წყალს ამღვრევდეს, ხალხს სულს უწუხებდეს, მაგრამ განა მომავალის მოიმედემ ყოველივე ამით გული უნდა გაიტეხოს?!

განა ჩვენ დიდის შოთას მცნებით აღზდილნი არა ვართ, რომელმაც ყველა ქართველს ძვალ-რბილში განუმტკიცა:

ჭიჭისა შაგან გამაგრება

ისე უნდა ვით ქვატკიჭისა!—ა?

განა ქართლოსიანთა სულის ჰენი-ოსობამ—შოთამ არ გვითხრა:

გარდი უკვლამ ზრავის მოუკრეფია—ა?

დიად, თუ ჩვენ ჩვენი ძველი წინაპრების ღირსეულნი შვილნი და ჩვენის დემოკრატიის ნამდვილნი წარმომშობელონი ვართ, კირმა და ვაებამ არ უნდა შეგვაშინოს და ახალი რწმენით შევუდგეთ ჩვენი სამშობლოს დაწინაურებას!

ჩვენი სამშობლოს მომავალი ჩვენი ქვეყნის შეერთებულ ძალისა და მისი მესვეურის დემოკრატიის ხელთაა,

გაუმარჯოს ქართველ დემოკრატიას! გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოში თავისუფალ ხელოვნებას!

ამ ახალი რწმენით გილოცავ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ახალ წელს და გისურვებ, რაც, წარსულმა დაგაკლო, ახალით შეგვესოს! იოსებ იმედაშვილი

# ახალი წელი

მთვრემ შუქი ამოსტყორცნა ვარსკოაგები შეარხია,  
 ბნელეთს დასცა შიშის ზარი, ცას ზიწარი შეახია  
 ბნელში ჩაფლულს ქვეყნასა გულის შვება ატნობინა,  
 შვებით ნაშობს, ახალ წელსა ოქროს ტახტზე მისცა ბინა.  
 ახალ წელი ჯილითა სდგას, ხალ კაპარქით მომარუელი,  
 ხვიდა და ბასრ მახვილით სადევ-გმირით ამართული,  
 ძვილი ქვეყნის ხუნდებს ამტვრავს და ახლის ბედსა შქედავს,  
 მწამს მის ძალა ჩემი ქვეყნის სიკეთესაც გამოკვეთავს.  
 მაშ გენუჯვი ახალ წელო! წინ, წინ გააწი შენ ერთგულად,  
 კმარა რაც, რომ გაეწამა საქართველო ვერაგულად,  
 დღეს მას გვერდში ამოუდგა გამოკვეთი ქართლის ბედი,  
 შეჰქმენ მისი მომავალი და შეიქმენ მისი გედი!  
 შენგან ელის სიკეთეა და გრუთი ქართლის დედა,  
 მისი ბედის გასაქადად რომ ასწიო მალღო ხვიდა:  
 ერთის დაკვრით შვება მისცე, დასცე მისი დამზავრელი,  
 სულთამხუთავს, სისხლის მწოველს მოუნახო თვისი ხერელი;  
 რო შით დასტკბეს საქართველო, ოქროს სხვის მომლოდინე!  
 დაზავრულო ერის წყრო ამოდუდღი, შენც იდინე.  
 თუ შეგეხო მაენე სული გულს მხვილი დაჭირე,  
 კმარა რაც მის დღევ-ძელობას უქმად მსხვრპლი შეუწირე...  
 და ავმართოთ ძლევის დროში მტარვალების დასაფოლად,—  
 ვინც თვის მამულს უღალატოს, ის ეყუფა მას სირცხვილად.  
 ამა რწმენით გულდამტკბარნი მივეგებნეთ ახალ წელსა,  
 ჯერ სალამი, მერმე ხვევნა, გავუწოდოთ ხელი ხელსა!

დ. გაბრუაშვილი.

## კ | რ | ი | ს | ე

შე ის მიყვარდა იმ დროიდან როდესაც პირველად ავიდგო ფეხი...  
 როდესაც პირველად ამოვიდგი ენა ჩემი პირველად წარმოთქმული სიტყვები „ტურფავ მიყვარხარ“ იყო...  
 მზეთ უნახავი პირიმზე ცხრათავიან დევს უღრან-ნო ტყის იქით, შავი კლდის თავზედ ცხოაკლი-ტულში ჰყვანდა გამომწყვ აეული...  
 დარაჯილ შავი გველი და შავი ყორანი ჰყვანდა მიჩენილი, რომელნიც მის სიახლოვეს სულიერს არ აქაქანებდნენ...

დიდხანს ველოდი...  
 ჩემი გული მის მოგონებაზედ მწარედა კნესოდა...

—ბელო, ბელო! მითხარი შედირსება მისი ნახვა მაინც თუ არა?..

—არა!.. მესმოდა შავი კლდის გამოძახილი. „ყვა“... ჩხაოდა შავი ყორანი. ს...ს. ს. სისინებდა შავი გელი... და ამ პასუხზედ მიკდებოდა გული..

დამს წყვდიადში. რ ვისი ხა არ ისმოდა... მხოლოდ ყორანი კვალად ჩხაოდა... კვლავ სისინებდა შავი გველი... ტ ნჯულ წაქებული გოლგოთაზედ ვაყავი დაროქილი და წაქებულს იესოს ვევიდობოდა. ახალი წლის წინა დამე იყო, მაგრამ მისი მოსვლა მე სრულიად არ მახარებდა... ისევ მესმოდა ყორნის ჩხავილი, გველის სისინი...

ვერც კი გავიგე როგორ გატყდა ლამე, როგორ დაეტყო ცას მზის სიციხოვლე... უცნაურ შესწყდა ყორნის ჩხვილი, დაღუშდა გველიც... გაკვირვებული, გახარებული ზეზე წამოგვარდი. ყორანი უღრან ტყეში გადავარდნილიყო... თავგატეკული გველი კლდის ძირში ეგლო პირამზე განთავისუფლებულიყო და წყნარად ჰაერს მოარღვევდა...

ახალმშობელი მწერლები



მ. ძიძიყაშვილი

ნაწყვეტები

გველი კი სისინებდა, სისინებდა!

მშვენიერ წალკოტში ლამაზი იასამანი იფურჩქნებოდა... გაზაფხულის ცელქი სიო აღერსით ეხვეოდა მას და მოკრძალებით უკოცნიდა ლამაზ ყვავილებს... ჯადოსან ბულბულს მასზედ გაეჩინა ბინა და ღვთაებრივ ჰიმნით ეგებებოდა ახლათ და ბადებულ ყვავილებს... ყოველ ღამ, როცა ქვეყანა ძილს მიეცემოდა, ის სიყვარულის ლექსებს სტვენდა... აღერსით დამფრალი იასამანი საარშეყოლი შლებოდა... და უყვარდათ მათ ერთმანეთი... მშვენიერების მგოსანი სიყვარულის ჰანგებათ ღნებოდა... ლამაზი იასამანი სააშეყოლი უხსნიდა მას თეთრ გულს და მეტის ტრფობით ცახცახებდა... თრთოდა... მშვენიერი ღამე იყო... გაბადრული მთვარე ამაყათ მისრიალებდა კამკამა ცაზე...

მოდიოდა ჩემკენ... — მომილოცნია ახალი წელი, ჩემი განთავისუფლებიდან უკვე ახალი წელი დაიწყო. ეს ისეთი ახალი წელია როგორც დიდი ხანი არ გასთენებია არც შენ და არც სხვას... — ტურფავ შენა ხარ, თავისუფალი? — წამოვიძახე გახარებულმა და მის ფეხებთან დავემხე...  
ა. ნეკრელი

ბულბული გვეულებრივად გაჰკიოდა სატრფილო ლექსებს... შავი გველი კი იასამანის ბუჩქს შემოხვეოდა და საზარლად სისინებდა... სისინებდა შავი გველი და სასიკვდილო შხამით ჰბანდა ჯერ კიდევ ნორჩ ყვავილებს... თადავიწყებას მიცემული ბულბული ისევ ჯადოსნურად გაჰკიოდა... და მხოლოდ მაშინ, როცა მგვსლაგვა შავი მალა აიღო საზარლად შეჰსისინა, ბულბული შეკრთა და ჩაფარდა ბუჩქში... შავმა გველმა თავი ძირს დახარა და სიკეთლო შხამი ასხურა... მწარედ აკენესლა ბულბული და სული განუტევა... და შეირხა... მაშინვე შეირხა იასამანის უჩქი... ერთიან გასცივიდნენ მას ყვავილები და უკანასკნელად ჩაეხვივნენ თავიანთ მგოსანს... თავიანთ არშიყს... გამარჯვებული გველი კი საზარლად სისინებდა!.. სისინებდა!..

შავი თვალები...

გიემია მდინარის ნაპირს პირველად შემხვდი... უღარდელ ბავშვივით დახტოდი მაშინ და ყვავილებს ესროდი შენსაგით ცელქ ტალღებს... მხიარული კისკისი შენი სიციხოვლეს ჰმატებდა მდინარის უხუილს... — მაჩუქე მე ერთი ყვავილი!.. ტალღებს რათ ესვრი... ისინი ხომ ვერას იგრძნობენ! შევთხოვე მე... მან კი ხმაც არ გამცა... გრძნეულად შემომანათა მაყვალრივით შავი თვალები და პირი იბრუნა.. მსწრაფლ გაეჭვავა დი იმავ აღგილს და უენოდ შეეცქეროდი, თუ ვით განაგრძობდა ის ყვავილებთან თამაშს... — მე მინდა ტალღებიც დავიმორჩილო! მათაც ვასწავლო სიყვარული! — მხიარულად აღიკაკისა მან. ო, ის თვალები!.. შავი თვალები!.. რა ჯადოქარი, რა მწველები იყვნენ!..

მ. ძიძიყაშვილი



მისა ავაშიძე

სხვა ლაშქარსა ღრმს





ქაინოსრო ავალიშვილი

ქვემოთ ლექსის ავტორი

ქვემო-მოუვანილი ლექსი შიშ არის საუურადღებო, რომ დაწერილია იმ-  
მოცი წლის მცხსოვანისაგან და იმ წოდების პირისაგან, რომელიც უდარ-  
დელოთ ატარებდა წუთისოფლის ცხოვრებას, მაგრამ ქართველური ნიჭი,  
სმახვილე ცხოვრების დაკვირვება არ დაუკარგავს და აღუოცანებიოთ  
შეპყურებს ჩვენი ხალხის მომავალს. რედ.

წარსული და აწმყო.

1

შეთხველვებს უნდა გავაცნო ჩემი თავ-გდასავალი:  
სოფლოთ ვარ დაბადებული თავადის ჩამომავალი;  
უზრუნველი და უსაქმო, ხელთ არას გამომავალი;  
დიდი ბრწყინვალე გვარისა, ავალიშვილი ავალი.

შინაურათა აღზდილსა არ თრის მქონდა დარდი,  
ქთაებოლოთა ეცხოვრობდი, ფლანგვაში ვიყავ მარდი.  
შინანაგები გავიცან ჩემი ძვისების ფარდი  
და გასართობათ მე მქონდა ასონანსი და ნარდი.

ასეთ რათმითა მომქონდა თავადობითა თავია...  
მიყვარდა ჩაცმა დახურვა, ძვირფასი მოსართავია,  
აგრეთვე მწვადი ცვრიანი, ფლავი, ბატკანი, კრავია,  
ქართული კარგი სიმღერა ჩონგურზე დასაკრავია.

მე იმ დროს ვამბობ, ძველათა როდესაც მყავდა ყმებია:  
მათი გოგო და ბიჭები მოსამსახურეთ მხლებია.  
ჩემს უნებურათ ჩემს გლეხსა ქალი არ გასთხოვებია,  
ბევარა გადაუხდიეთ, როცა კი მიბრძანებია.

ბატონ-ყოებისა წეს-რიგი მთავრობისაგან ხდებოდა:  
გლეხის ქვრივი და ობოლი ბატონს შინ უნდა ხლებოდა,  
ფულის შეწერა, საჩექვე, ლალა-კულუხი ხდებოდა...  
სხვა სამსახურსა ვინ მოსთვლის, წინ რაღა დაუდგებოდა?!

6  
 გავლიეთ ხანა წინეთა ნაქები, დღეს საგმობელი,  
 შემაწუშარი ღარიბის, მდიდრისა გასართობელი;  
 არავინ უჩნდა საწყალ ხალხს არსიდან თანამგძნობელი...  
 ყველა გლეხ-კაცსა სჩაგრავდა... დრო იყო დისამზობელი!  
 მაგრამ ამ წუთი-სოფელსაც თვისი იქვს დასასრულია!  
 ცხოვრება თურმე ბრძოლაა, სიცოცხლე მეტად რთულია.  
 მე გვიან მივხდი ბედ-კრული: ~~ამ~~ მშობლო დაჩაგრულია!  
 რაღას ვეწიო ხნიერი, ოთხმოც წელს გადასულია!

## 2

ძველმა დრომ ხანა მოსჭამა, სიომ დაჰბერა ახლისა:  
 განთავისუფლდა გლეხოზა და წვერი მათი სახლისა,  
 გამოჩნდნენ სოციალისტნი, მოაზრე ახალ-ახლისა...  
 „ძირს მეფე და თავადები!“ ზრიალულია ხალხისა.  
 ღრმით ჩამწვდა გულში ხინჯათა: მეფე-ქრა ცხოვრებ-ზედა,  
 თუ კი არავის რას ვარგებ, რათ ვცხოვრობ ქვეყანაზედა!  
 მეც უნდა კილო შევწყუო ახალ-თაობის ხმაზედა,  
 გვერდში მოუდგე მოძმესა, ვიარო სწორე გზაზედა.  
 არ ვარგა აღამიანმა გული დაიხშოს გრძნობისა!...  
 მეტი საზღაპრო შეიქმნა დაჩაგრა გლეხ-კაცობისა,  
 მოთმენა გამოეღლიათ... მიზეზი გახდა მტრობისა.  
 და ამან გამოიწვია გულზეავი მოძრაობისა.  
 რუსეთი ომში ჩაება, გაუხდა თავის ქირათა:  
 ჯარის საკვები სურსათის შეექნათ შოვნა ძვირათა.  
 ნემსები ცხვირ-პირს ამტვრევენ, ახევიებენ ხშირათა...  
 გასჭირდა რუსების საქმე, მიდგა დაღუბვის პირათა.  
 ესეთ ომის დროს რუსეთმა დაიწყო რევოლუცია,  
 ხემწიფე გადმოაბძანეს, პატრივი არვის უცია...  
 ახალმა მინისტრებმა კი გამოსცეს პრაკლამაცია:  
 სხვა ერებს არა მივცეთ რა ვაუფლოთ რუსის ნაცია.  
 ვეცადოთ ყველა ქართველმა ხმა ავიმადლოთ ერშია,  
 ყოველი ღონე ვიღონოთ, გავეძრეთგამოვეძრეთ ხერცელშია,  
 უფლება კვლავ აღვიდგინოთ, მთავრობა ვივდოთ ხელშია,  
 წოდების განურჩევლად ყველა გავსწორდეთ წელშია.  
 შემთხვევა კარგი გვეძლევა რომ აღვიდგინოთ ივერი,  
 ბუნებისაგან შემკული, კეკლუცი და მშვენიერი,  
 თამარ-მეფისგან სულ-დგმული, დიდებული და ძლიერი,  
 რუსთაგან დამონებული, მოტყუებული, მშვიერი.

ქაიხოსრო ავალიშვილი.








მალძინსაძე აბაშვიდი დასავლეთ საქართველოს სომეხთა გალობის დიდი მოღვაწე და სახელგანთქმული ლოტბარი.



მ. შალიაშვილი დათიას როლში სახეტი ლ. გუდასშვილისა.



გიორგი აბიძაშვილი აღმოსავლეთ საქართველოს სომეხთა-გალობის მოღვაწე, გარეკაიელ (საშველ) გლეხთ გუნდის ლოტბარი

# ქ ო რ წ ი ლ ი

ალეგორია სამ სანახობად

### მომქმედნი:

კნ. სიღონია, მქრალაძის ქვრივი. ნათელა, მისი ქალი. თავ. ოთარ, სიღონიას მახლი. თავ. ტიტოვ კახელი, სიდ. ძმა. აღმახს ნახალიძე, იგივე ია გლეხი მებალის შვილი. არ მხუნი ნც, მოვანზე სოფდაგარ ხედრ კ, მისი ხელქვეითი, რუ-გენერალი.

ნიკოლოზი, შვილი მისი. გოლ ინჟინერი, კახელი ნასწავ მ რ ი მ ქ ლ ი იმერელი ქალი. ვახიკო ბეწგიანი. ტატე ბეწგიანი. ნიბლია ბეწგიანი. მართა ბეწგიანი. გლეხთა გუნდი ქალთა გუნდი მესტიცირე

იმერელი, კახელი, აპარელი, მეფ ნდ., მახარობელი, ეგვიპტი. ასანალია სანდრო კახელი, მოცეკვავე. ქართლელი, გურულნი, რაჭველნი, თუშ-ფშავ ხევსურნი, ლეჩხუმელი, აპარელი, ინბი ლოელი, ოსნი, აფხაზნი, სვანნი, და სხვ.—მოცეკვავეთა გუნდნი; საზანდარი.

### სურათი პირველი

კნ. სიღონია ქვრივს კარმიდამო ქართლში. ორსართულიანი მოძველებული სახლი: სახურავ ჩამოღობილი, კიბე დაზარალებული, ატაკ ჩაშლილი აივნ ს მოაჯირი აფრეხილი გამოცეცილი. მოშორებით წამოქცეული სასიბირდე, ერთ კუთხეში—პატარა ეკლესიის დასანახი. ჩამოგრებული გუმბათი, წინ ორ კან ბოძზე სამეგობო ზარი. შორს წყარო. შორს ახლო სათიფე და გომური. ორი ხის შორას ტყელი სკამი კუჩქებზე... კუბოში მოშინდულია ფიჩხი, შუა, ნაფოტი. მზე ჩადის, მ სი უკანასკნელი სხაუბი სახლის ფანჯრებს ეთამაშება. ესაშა მუშებთა მატროფიანს; უკანკენ უკანაფიქვთა ტყობათ.

### შუა ქალები

ნაწლავები გვიწყდები,

კოჭი კი არ გვიძღება, ნეტავ ჩვენი ნაოფლი მოვანწესა რათ რჩება! ქვეა თუ კაცს ირ ექნება, არას არცებს ქონება; სხისით მოზრ-მოფიქრალს სხვისა მმართვეს მონება.

სედრაკა (გამოხნდება. ქალები შეგუთფდებიან) შებ თ უნდათ რალაცა...

მართა.

ძლიი ხსენებაზიდა... მო, ერთიც შეგებაროთ, მოვა ჩვენს ნებაზედა... (სედრაკას) დღეში ექვსი შაური



თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ქართული გუნდი, დაარსებული  
 ზ. ი. გ. (ჩიტო) ქუთათიშვილის მიერ  
 იანვრის 7 საოჯახო საღამოს გამართვის გამო.

ცოტა არის კიდევა.  
 უკმელ-უსმელობითა  
 ჩენი ჯანი იღევა.

სეღრაკა.

ფიე, ამას უყურე,  
 რა გულუხვით იქცევა!  
 დაო, ექვს რათ სჯერდები,  
 შოითხოვე თუმანი,  
 თუ კი იცი რომ ღირხარ  
 და ამას გთხოვს გუმანი.

მუშა ქალები,

ვიღას უნდა მოვთხოვოთ,  
 მოსავალი თქვენ მიგაქვთ.,  
 ქვლივ-ობოლსა რა ვთხოვოთ,  
 თვისი სარჩოც არა აქვთ.

სეღრაკა.

ახა ესეც ხათაა,  
 ყველა რა რიგ უტერა.  
 ხაზინს ს პიობით,  
 ქალო, ასე სწერაა,

რომ სანამდის მამული  
 თავის ვალში უჭირავს,  
 მოსავალი მისია,  
 ვერვინ გამოუწირავს.  
 ხარჯი-ბორჯი მუშისა,  
 ჯამაგირი და ჯერი  
 არის მემამულისა,  
 თუ ხართ ამის დამჯერი.

ასაკო.

მაშ ეგრეა: კურდღლისა  
 ხორცი შენ, ტყავი ჩენა,  
 მელისა-კი ხორცი ჩენ  
 და ტყავი-კი მთლად შენა!  
 მუშები იფინანს.

ედრ. შეფუც ხუნებულა. რის კურდღელი, რა მელა,  
 მასხარობთ თქვენ ყველა.  
 ეს რა ჩემი ბრალია,  
 კაცი აქ თუ (შუბლზე უწვენებს) მწყა-  
 ლია. (გაღის)

**ვასიკო.** ჰე, შეილოსა გენიშნა,  
გემწარა და გემწინა!  
რაკი გვიდგა ძალაზე,  
აქ მივაბათ ბაგაზე...

**მარია.** სწორეთ. ჩენი კუთვნილიც  
ღაითვლება დაზგაზე.

**ქალთა გუნდი.** მზეო, ჩვენთვისც იბრწყინე,  
ღღენი გაბოგვიბრწყინე,  
მულამ მყინვარებაში  
სისხლი ნუ გაგვიყინე... (გადახან)

**ტატე.** ისევე ხათრი და თმენა,  
სხვა გზა არა გვაქვს ჩვენა...

**ვასიკო.** რა ღროს ხათრი-მათრია!  
ხესა სცვივა ფოთოლი,  
კარს ზამთარი მოგვადგა,  
ბაღღები მყავს ტიტველი,  
შარჯვენისა შემყურე  
მე ჩემ ნაშრომსა ველი,  
**ნაბლაი.** ხმა გაკჷიდე, უღღეო...  
უნდა ყველა გავაქროთ,  
ვინც კი მუშებს იხმარებს  
ნაოფლს კი არ უსწორებს.

**ვასიკო.** შეხე მაგი მამულსა  
თვალი ვერ გაღუწვდება.

**ტატე.** სახელით მაგისია,  
სახრავად კი სხვისია:  
კარს ადგია მოვალე,  
ჩაპულაპავს ღღეს ან ხვალე.  
რა ქნას, როგო იძალოს?

**ვასიკო.** თავშიამც ქვა იხალოს!  
თუ არ მოსღღეს მას წელი,  
უჯობს აიღოს ხელი,  
მამულსა გაუჩნდება  
ბატონ-პატონ-მომღღელი!..  
ჩვენ ცხოვრება გეშოიღღეს,  
ქამა გვენატრებოღღეს,  
მას კი თავში საყრელი  
შიწა უოხრღღებოღღეს?!  
ღროა, ღროა აწ გავიყოთ,  
ყველამ თვისი მივიღღოთ,  
მაშინ აღარ ექნება  
მის მამულზე სხვას ნება,  
რო მოსთხოვოს ვაღღები,  
აუცრემღღოს თვაღღები!

**ტატე.** უღღეთო საქმეს სწადიხართ,  
მეტად თავსა გაღღიხართ.

**ნაბლაი.** ნეტავ რას გვეხიღღები,  
და ბატონს ერიღღები!

**ვასიკო.** თუ კიღღე გავგიჯანჯლო  
მოვიხმაროთ ჩვენც ძალა:  
აღღიანი—მის ჯანი,  
გავატაროთ გუთანი!

**ა.** შეშოღღის თანღღურით, დაბჩანძღღეო, წვერ უღღავს  
აბუღღმენიღღი. მუშებს რა შენიშნავს იღღესა და კი-  
ღღოს იღღღღის—აღღავინ შიღღნოსო.

გამარჯობათ ბიჭებო,  
ცამ გიკურთხოთ მარჯვენა,  
ვისაც ვეძებ—ვერ მეტყვიოთ,  
ვეგებ იცოღღეთ თქვენა?! (მუშები იღღინან)

**ვასიკო.** შეხე ამ ბახაღღასა,  
რა ხუმარა ყოფიღღა!  
ნეტა ვის დაეკარგე  
მაგრე ღღელიშობიღღა?!  
**ა.** საკუთარ თავს დაეკაღღლი,  
სხვას რას ვეპრიანიბი.  
ძმაო, შენი დაციწვა  
არის ნაგვიანიბი.  
ვისაც ვეძებ აქ თუა,  
ეგ მითხარი გეთაყვა.

**ვასიკო.** აღღათ ქინძსა მიიართმევე,  
ფიქრი იმას გაღღეყვა. **იღღინან.**

**ტატე.** ძმობიღღო ვის დაეძებ?

**ა.** ამ სახლშია სღღვას ვინა?  
ან ვისია ეს ბინა?!  
მითხარით და ბეღღსა გწევეთ,  
მეც სამსამხურს გავიწევეთ.

**ვასიკო.** შეხე, შეხე ნაღღიტას  
როგო აუშვა ქარი!  
ბეღღსა, მე შენ გიბრძანო,  
მოგვეცემს რაც მასზე არი!

**ა.** სწორეთ მაგას შევიღღღებ,  
ცოცხალი თუ თავმკვღარი.

**ტატე.** თავად ოთარ მქრალაძის  
იგი არის სახლ-კარი.  
ის მარიღღზე წავიღღა,  
ქვრივად დასტოვა ცოლი,  
მასთან ერთი ასულიც,  
ვითარც ნათალი ბროღღი.

ვასკო (დატინჯი) თუ მის შერთვას აპირებ,  
 მოგეკრება კბილები.  
 ბევრიც სხვა გაუშვია  
 ქალსა განაწილები.  
 რა ხანია შევებში  
 მგლოვარეთ წამუღდარია,  
 გულით არ ელხინება  
 სუნთქავს, მაგრამ მკვდარია.  
 სწორეთ მაგას ვეძებდი...  
 უენ მესამე იქნები.  
 მას სომეხი და რუსი,  
 როგორც კარგი მისნები,  
 დღესაც ხელსა უწვდიან.  
 მგონი არის ნიშნობა.  
 ნახავ ლაპარაკზედა  
 მისი აზრი იცნობა.  
 მაგრამ უენ კი ვინა ხარ,  
 საიდან, სადაური?

დაშეკვირდი, გაიგებ,  
 მისმინე თუ გაქვს ყური!  
 ფანდურს უკრავს და მღერის:  
 ერთი ვინმე ყარობი ვარ,  
 შეფანდურე საწყალი;  
 ქვეყნის კენესა-ვაებითა  
 მიცრემლდებო გლახ თვალი.  
 სოფლი—სოფლიად დაეწანწალებ  
 ძმათგან მიუსათარი,  
 ბოროტებით საფე ვრში  
 ვერსად ვზოვე საფარი.  
 ვეძებ ქვეყნის მალამოსა,  
 მინდა ხალხის წამალი,  
 რომ მთა-ბარი გავასწორო,  
 ერთი მქონდეს გზა-კვალნი!


ოი, უენ კი გენაცვალე,  
 რა კარგი გაქვს ენა-პირი!  
 მართლაც კაცი უენ ყოფილხარ,  
 თუ იცი ხალხთა გასაპირი...  
 მუშა ლიკურიც შეგვაწიე,  
 მერე უენი გნთ გასწის,

ფანდურზე ლკურს დაუკრამს დამღერებით ვა-  
 სკო ტყავს. მკვირთ გავა. ხალხს ტაშით მისდევს.  
 თუაღს გააღვენებს  
 ვა, ბედო, დედინაცვალო,  
 შეცვალე ღებადო სახითა

ვერა, ვერ მომხრი, ვერ შემცვლი  
 ჯალოსნურისა მახითა...  
 სოფლისა უკულმართობამ  
 ცხარე ცრემლებით მათირა,  
 მაინც გაუძელ შევბედმა  
 სასიკვდილოდ ვერ ხამწირა...  
 ჩემო სიტრფოო უენ იყავ  
 ბნელი ცხოვრების სანთელი,  
 უენის ტრფილით ვსტოცხლობდი,  
 რომ მღირსესოდა ნათელი!  
 სადა ხარ? ნუ თუ მიჯნურო  
 ვერ ისმენ ჩემსა მღერასა?  
 სადა ხარ? ნუ თუ მანანებ  
 ჩემს სიყვეს—ბელის წერასა?

ფანდურზე დამღერის ფანჯარის ძარს:  
 უღვთოდ დამწვარ—და აგუო,  
 ჩემო ტურფავ, პირიმზეო,  
 სულის სულო, გულის გულო,  
 ნულა პგმინავ, აღზდეგ ზეო!  
 უენსა ყარობს—უკვდავ მიჯნურს  
 უენთვის დამწვარ-დადაგულსა,  
 სული მხოლოდ უენთვის მიხურს,  
 ვერ შემიცვლის სევდა გულსა.  
 სად ხარ, ჩემო სასურველო,  
 აღსდეგ, სარკველს გადმომხედე,  
 პყვავის ჩენი უგების მღგლო,  
 უკეთესის მოიმედე!  
 —ნათელა სარკველთან კუმონდება.

ოისებ იშუდაშვილი  
 გაკრძელება იქნება.



1917 წლის მაისი ნაწივი

სამშობლო სვეტი

ქართული თეატრი

გასულ წლის დრამა დასმა გააღ. შედგენილია რევინობით მიჩნაილად შეისრულა თავისი მოვლელია, თუ შექმნილათში შევიდეთ ამ მინა-ბებს, რომელშია მის უხდებოდ მუშაობა თავისი დასა.

სეზონი ნათარქუნ ბავსებათ დაწერა, მ. ბრამი შექმნილი გაბედეს ორგინალურ შეხედვის დადგმა. ორგინალური ბავსება შექმნილი დადგრა თხანაკ-უდოდ ნატარეს.

დღანაშნავია „მეგობრობა“ გადამრედი მუ-ხა, არწიადება, ქრისტინე. შეუდგენილი ბავსებაში უფრო აღსანიშნავია „მეგობრობა“.

დანიარქუნ ბავსებაზე წინა წერილებში უკვე აზ-რი გამოვსაქეთ.

ბრემიერ რომების აღმასრულებელია ად იმე-დაშვილი და იუსა. ზარდალიშვილი. იმედაშვილის ვუსურვით ხმის გასწორება, დანიარქუნი მისი ბავსე-ბისი გაბედობენ მის, როგორც მარველ სარისსო-ვან მისხიობს, იუსა ზარდალიშვილს კი მეტი ტე-ბიკამენტი. ოთხი ვაუდაიერებს ნიჭს ამ არისტო-კრატ—მისხიობს.

გ. შედგენილი?

სრული მისხიობა, რევინობი და დრამატურბი. მან უფრად მსრფ დაგვაკმაყოფილა...

კარგები არიან მატარაქე და სარაული ვურა-დებბას იქტევეს მრავალ ფეროვანი თამაში ბ. კ. რი-შედისა. ახადგზდა გვარაკეს როდში შეაქვს თა-ვისი ახადგაღდობა. ვიფიქეს, ტიფიშვილს, თარა-დაშვილს ეტუობათ შეტადინეობა, მაგრამ მარაუბთ შეტი შრომა.

ვასო აბაშიძე? ავადყოფი, მოსურტებული, და-მისხურტებული და თანატ შევიწკებული ნეენი სარო-გადიკობისგან, თავის მხარული თამაშით გვამსნე-ვებდა ამ დუბჭირ ტსოვრებაში.

შალვა დიდიანი იშვიითად გვქივებება. აღსა-ნიშნავია მისი — ვიტო.

ან. ქიქოძისა?.. მასხისატებ როდებს ასრუ-ბებდა და სიმართლე უნდა ითქვას, რომ ტდილო-ბლა... ზოგორთში ტიბებბი კი შექმნა. (ქრისტინე) ოდონდ ვუსურვით მის სარტინო ტხენიკის ვაუშო-ბესება და შეტე ხინაზე.

რამდენად სარსაშოვნოა ტასო აბაშიძის და ვაგანიშვილის ვურება კოშელიაში; იმდენათ შეს-ბარადისნი არიან დრამატულ რომებში. ვურადღე-ბას იქტევეს გრმბობარე თამაში შოთაძისა, მის ეტუობა დაწინაურება.

ქილარჯიშვილის ნიჭი ფართოვდება ვუსურვით სმინი გამოსვლა სსვს და სსვს რომებში.

წერტეზაშვილსაღ ვუსურვით სმინი გამოსვლა სტენაზე.

საროგადლო შთატუდელბება დამკმაყოფილებე ჯია.

სახელხო სარლის მშვიდი მუსხინი.. ნიჭიერნი სტენის—მოუგარენი( ფაქტურათ მროფისონადურ მისხიობანი გოტირიქე, რომინიშვილი, ანშვიდი მეტრეველი, და სს. გაშოტდილი რევინობი შთი-რეშვილი, შოლოდ სუსტი და ვადმსროვია რეპე-რტურათა...

მოუვლირთთ ითავე დასს სადა წელი და ვუსურვით სიმხნევე ახად ორგინალურ ბავსებაში.

ქუთაისში ქართული დრამატული დასო ქო-რიძის და ბარველის რევინობით მართავს წი-რმიდეკენებს რასატ საროგადიკობა ბლომათ ესწრება. ბაქიდა და ბათომში კი დრო გამომეგობათ.

არუსული დრამა „ტარტოს“ მხანავობის სეზონის მეფე ბავსათ ნათელებება ვერეკიკოსკის „ბავლე“ საურადღებობა ნეშიროვინ დანიჩიკოსი, ჯეონიდ ანდრევეის და სს. ევ. ნორაქოვის. და არტობაშვიის ბავსება ტესნიკური მსრფ სუსტი. თამაშის მსრთთ აღსანიშნავია ნკიერ მისხიობების შიხაიდოვსკის და რუხავეის, ბრე თეეტრორასკის, და დნეპროვის, ნოროვის და სს. ქალთა ძალები მოისუსტებენ გარდა რკისანოვისა.

სომხის დასის სეზონი ჩეულებარეად სწა-რმოებს არტისტირლ საროგადიკობაში. საროგადიკობა უფრო შეტი ვურადღებით ებურობა მის, ვასარე-თრებით კი ახადგაზდობა.

ქართულ კლოუბის რუსული დასის სეზო-ნი პოლის შედმძღვანელობით მხარულიად შიღის. საროგადიკობატ ბლომათ ესწრება. აღსანიშნავნი პოლი დიმიოვი და პერსიობი. სამავიეროდ ამ კლუბის რუსული ობერა, რომელიც დიდი ამბით დაიწყო სეზონი, სარტსენითთ თავდება. დარბ-ღაროჯი, კარდა თეით მამსახადისებბს და „თე-ატრი და ტსოვრების“ რეკენზენტებისა.

მუსიკალურ სფეროში აღსანიშნავია ქართველ  
 მომღერალ—მუსიკოსთა კავშირის დაარსება რომე-  
 ღმატ მიღწათ დაიწახს კროვნულ—ნაციონალურ  
 სელაონების სასურველ დონეზე დაუენება. მისი  
 თიონობით დაარსდა სავანებო კომისია სპეციალი-  
 სტების, რომელსაც დაევადა ფილარმონიულ სა-  
 ზოგადობის წესდების დემოკრატიზაციის და მის

სკოლის ნაციონალიზაცია. ამეე კავშირში შეადგი-  
 ნს დიდი გუნდი. და ბოლოს უნდა აღნიშნათ დი-  
 დი ფაქტი, რომელმაც მზის შუქი შეასათ ევენ  
 შიძინებულ სელაონებაში. ეს არის სელაონებათ  
 სექციის დაარსება კროვნულ საბჭოსთან

ბგ. წერეთელი

## შ ა რ ა დ ა

იკოდე მცენარე არის,  
 საკმელათ მოსახმარები,  
 სახელი ოთხ მარცვლოვანი  
 მიწა-ვაშლისა მგაენები,

დიპირველ მარცვალს თუ მომცემ  
 შენ იმღენს დამხმარები,  
 თიჩქმის ნახევრათ გამოვა  
 სახელი დამამშვენები.

შემდეგ მხეტთ მეფე გვეპირდება,  
 და მართლაცასათვალია,  
 მის სიმკვეტი-სილაშაზუნელ  
 სუყველას რჩება თავალია;

ორ მარცვლოვანისგან შესდგება  
 სახელი ძალთა ძალია,  
 შუა გასქერით, პირველი  
 მიბოძეთ, დამღეთ ვალია

და გამოგვივა შირადით  
 სახელი იმისთნაები  
 ძველი მთავრობა ვინც დასცა  
 ახალს გაუღო კარები.

ვხლა იმ დაბის სახელი  
 ჩვენთვის საჭირო არია,

სადაც იშვა დიდი მგოსანი  
 და ეხლა უკვე შემდარია,

შეიღანბანისგან შესდგება  
 დაბა ციხეზედ მდგარია,  
 შუაში საში ანბანი  
 შირადის მოსახმარია.

შემდეგ გვეპირდება ყვაული  
 ნაზიარ სურნელოვანი,  
 ორ ანბანისგან შესდგება  
 და ორივეა ხმოვანი,

შუა გასქერით, თაქიხათ  
 მორიდებით და წყნარად,  
 პირველი მე მითავაზეთ,  
 რომ შევაკეთო შირადა.

ვხლა გთხვთ რომ მომინახოთ  
 ფრინველი მტაცებელია,  
 წიწილას ვინც ემტერება  
 ისე ვით თხა-ცხვარს მგელია

სახელი მისი შესდგება  
 ოთხანბან ორ მარცვალითა,  
 თუ მომცემთ პირველს ნაწილსა  
 ვინც არის ნახავთ თვალითა.  
 ვარჯენ ვაფიანა.



# მეორედ მოსვლა

(გაგრძელება. ახ. 1917 წ. „თ. ლ. გ.“ № 45)

**ღარკე.** (შეშინდის.) ლუარსაბი გაიგე ბალშევიკები ბუნტს აპირობენო?

**ლუარ.** შინ ბუნტი მაქვს და გარეთ ბუნტი რომ მოხდეს რა ვასაკვირვებელია?

**ღარკე.** შენ თუ უკმაყოფილო ხარ, ჩვენ რაღა უნდა ვსთქვათ მაშინ?

**ლუარ.** ქალო! ცოლი ცოლი აღარ არის: ეგ კრებებიო, ეგ პარტიოა. აბა, დედაკაცო, რაღა დროს შენი პარტიაა ერთი მითხარი, შეილები ხომ გამიგიჟდნენ, ათასი ოხერ-ტია. ლი ჩემი ბატონი გახდა. ვილა არის ჩემი პატრონი. სადილი სადილად არა ღირს, ჩაი ჩაით და როგორ გინდა იცხოვრო? ღვინოს ნუღარ ახსენებ. აბა ქართველი კაცი და უღვინოთ, ეს ისეა, როგორც სომეხი უფულოდ. რის ღვინო, რა ღვინო. შენი სისხლი ბარემ ღვინოდ აქციონ და დალიონ რაღა, ეგლა აკლია ვხლა ეგ ვილაც ბალშევიკები გამოჩენილან ქვეყნის დამცველნი, კიდევ უარესი ბუნტი უნდა მოვახდინოთო. დალოცვილნი რაღა ბუნტი უნდათ, ეგ ყველაფერი ბუნტი არ არის განა? ბარემ დაგვიჩონ რაღა! ათასმა ოხერმა ყაჩაღმა ბალშევიკი დაირქვა და ქვეყანას სცარცვაეს.

**აქქის.** ბატონო ბალშევიკი მოვიდა და რა უყოთ ახლა შემოგუშვებ?

**ლუარ.** (შეშინებული.) ვაიძე, ეშმაკის ხსენებაზეო რაღა ვინ ხართ ქრისტიანი მიშველეთ. ბიჭო, ეგ ხანჯალი მაინც მომწოდეს! არ შემოუშვებ, არ შემოუშვებ... (ღარბის იქით აქვთ.)

**ღარკე.** (შეწუხებული.) უი ქა, არც შინ გვასვენებენ! წმინდა გიორგი, შენ დაგვიხსენ უბედურებისაგან. (გარბის.)

**ლუარ.** ჩოთქი მაინც დაიჭირებ, ბიჭო ჩოთქი. (აქლეს აზოდან ჩოტკს)

**აქქის.** არ შემოუშვებ ბატონო კაცნი არ ვართ. (ეფიანის) არ შეიძლება აქ შემოსვლა ვერ ვაბედავთ ვერა. ამ ჩოთქს დაგარტყამთ თავში. (შეშინდის დაღუპული. თუბი ახურდებული

აქს. ზედ დახეული დაგლეჯილი ტანისმოსი აგვირგვინები სეღში უჭირავს

**ბაღმ.** როგორ თუ არ შემიშვეფ? სიკვდილი ხომ არ გინდათ ჰა? შენ იცი ვინ ვარ მე? იცი? ჰა? ეხლავე გაგათავებოთ; შენ ხალხის შეილს როგორ უბედავ არ შეშვივბას! (რეკლავებს უმაზნებს აქქისს. აქქისს ჩოთქს უმაზნებს და თანაც უკან ისევბ.)

**აქქი.** შემეშინდა შენი რეკლავებისა თუ შემეშინდა თუ? ამ ჩოთქს არ უყურებ, სულ გაგიპოვებ შ-ახედ თავს!

**ბაღმ.** დაიკარგეთ ხულიგანო! აქქისს გატბის.

**ლუარ.** დაჩქილი კაცო, თუ ხარ ქრისტიანი, ნუ მომკლავ. ფული თუ გინდა, წაიდგმამო რაცა გვაქვს, შენი ჭირიმე!

**ბაღმ.** კაცო რამ გადაგრიათ ყველანი, მეც კაცი არა ვარ? იდე კაცო, რას დანოქილხართ, ღვდელი ხომ არა ვარ, ან შენი ფული რად მინდა! მე ხომ ყაჩაღი არა ვარ. აღე აღამიანო, აღეჭი! (აქქებს ლუარსაბს.)

**ლუარ.** (ტულ შედარებული დაუშვებ სეგრძელზე.) თუ ძმა ხარ წყალი დამალევიენ და მერე თუ გინდ მომკალი კიდევაც. (ბაღმევიკი წააღს აწვდის.)

**ბაღმ.** კაცო, მე მოვფიდი თქვენთან, როგორც ამხანაგი მოსამსახურე კი ასე უდიერად მომეპყრა, რითი დავიმსახურე მე ეგ? ან თქვენ რათ შეგაშინათ ჩემმა მოსვლამ? თუ გეწყინათ წავალ სევე.

**ლუარ.** რა ვიცი კაცო, თქვენზე იმდენი რამე ამჩინეს, რომ ჩუაზე აღარ ვართ თქვენს შინით.

**ეგ სულ პროვოკაციაა, რაც ჩვენზე ხმებს ატრცელდებენ. თუ გაიცნოდ ჩვენ პროგრამას ისე მოგეწონება, რომ თვითონაც ბალშევიკი გახდები. ჩვენ ორ სკანზე ჯდომი არ გვიყვარს შენ გულახდლილათ ვამბობთ ყველაფერს, ჩვენ ის არა გვწამს ბურჟუაზია, ჩვენ არა გვწამს ომი,**

რადგან იგი კაპიტალისტების ომი და არა დემოკრატების. ომით ბურჟუები ჯიძებს ისქელენ და მშრამელი ხალხი კი სიღარიბეში ვარდება, ჩვენ არ გვწამს ვაჭრობა, რადგან აკაკის თქმის არ იყოს; „მათ მოგებულ შაურში ჩვენი ოფლი და სისხლია.“ ჩვენ გვინდა რომ ყველა ბედნიერი იყვეს, რომ აღარ სუფევდეს, არც მწუხარება, არც სიღარიბე! მოხდა გარეგნული რევოლიუცია და ფაქტიურათ კი ისევ ძველებური წესწყობილებაა, არაფერი არ შეცვლილა. ისევ ის წუხილი, ისევ ის სიღარიბე, ისევ ის არა თანასწორობა. ჩაუვთა წითელი პერანგი და გული კი შავ აქეთ. ჩვენ უნდა ვიხარებლოთ შინგენტით, ძირს უნდა დავცეთ ბურჟოაზი, უნდა მოვსპოთ ფული, რომელიც ერთად ერთი მიზეზია ამ ქვეყნის უბედურებისა. ჩვენ უნდა ჩამოვართვაო ბურჟუებს მამული, ფული და ყველაფერი

რაც უსწინდისობით აქვთ მათ შეძენილი და ვაგანაწილოთ სამართლიანათ შრომელთა შორის. ძირს კაპიტალიზმი, ძირს ომი, გაუმარჯოს პროლეტარიატს, გაუმარჯოს სოციალიზმს, რომელიც ეხლავე უნდა განხორციელდეს, ეხლავე! (სეაით ანჯდრეკს ლუარსაპს ლუარ. ღმერთო, რა შეგცოდნე, რაა? პოლშ. (განაცხადის.) ნამდვილი სოციალისტები მვენ ვართ, მარტო ჩვენ, სხვები ყველანი ფლიდები არიან, (შენაშნავს ნიკოლოზის სუ-

რას.) ამას რას ვხედავ, რას! ღმერთო ჩემო ნუ თუ ამას ჩემი თვალები ხედავს მაშ შენ შეხულიგანო შენა! დავახოფ შე საზიზღარო? გამოკვიდება ლუარსაპს რომელიც გარბის უვარდით ზიზღი! ფურთხი ამ სახლს! შურის დღეს ამ სახლს შირველი წაუკიდევ ცეცხლს! დავაცათ! დავაცათ! გადის განსარებუდი, შემოდინ კაპო და ალექსი. ს. წერეთელი

**სოფლის შიმშილი — კერძო წერილიდან**

...ამ ჩვენთვის იშვიათ საშობაო-სასახლწლოთა კა ვერაფერსა გწერ: მე ისეთ მღვრთე ტაღდებას-ენ მფევე, რამ ბირი ამეშრა შდაშით და ამ მარტაულმა ეინანობამ ისეთი გაფლენა აქონა ჩემზე რამ სულ მომშალა, დამაზინა. კაცო, თითქო ფრთები შექუხება! ღამის ზღვაში გამოტანიდი გემი მშალაზე გაფინთ ერთმანეთის ტვინიშითა და ჯათით. რადის იქნება ეს თვათმურთებობის ნაშთი-ურდელი და ეინანა მარტაული დისტამბინები მოისპოს. რადის ვისწავლით სწორედ ცხოვრების ენას, რამ ეველა ეს არა ხდებადეს. უნეშო ნემი ქორწილია, უნეშოთ ქათბის შეკერვენ, ნესტანსთავლით ვერ განვიცდი, და არ ვიცი გამოშადება? ვაი თუ ბოლოს ფესები შეფუქეკინონ?... დამ. სოლოლაშვილი.

**ს შ რ ა მ ი**

ძველი ბინის ნაგრევებზე კვლავ ქვითინებს მთის არწივი; ეთხოვება ყოველივეს..., გულ-განგმირულ-განაცვი! მისმა კენესამ, მისმა მოთქმამ გააყრუა მთა და ბარი; მაგრამ არვის ებრალება, დროს მიყვება საზიღარი! ხან ერთ მხარეს მიაწყდება. ხან მეორის ვასწავს-წავა; ხან ცისსივრცეს შეუტევეს და ხან ფრთებს კუმშავს ძირს დავა! მაგრამ მაინც სულთა მძძოლავს აღარავინ აღარ სწყალობს და ცხოვრებით განარიყი, ტყულად დაძრწის, ტყ. წვალობს!.. უხარიან მისი წასვლა, კილით-კიდე, მთელ ქვეყანას?! და ვინ გინდათ, რომ წყეულ სულს არ უგალობს სულთათანას?! ზოგი კიცხავს და აგინებს, ზოგი სულაც აღარ ხედავს, გულს ასკდება, მაგრამ მაგვარს ველარაფერს ვედარ ჰბედავს! აკონდება დრო გავნლილი, თვალწინ უდგას ტრფობის ნავი მაგრამ რა ქნას, როდესაცა ჰმუსრავს ძალი უხილავი? აიძულა ბედის წერამ, დატრიალდა სხვაფერ ჩარხი: "ცა ქვეყანა წყევლას უთვლის და აუფებს ირეველივ ხალხს!!"

ავტო ანაქია



**ვაიფურულია**

„თეატრი და ცხოვრების“ ფონდის  
სასარგებლოდ მივიღეთ:

- 1, ვანო შესნიშვილისგან 30 მან.
- 2, შდ. ნ. ნათიძისგან 10 მ.
- 3, სოფიკ ლახინისგან 5 მ.
- 4, იოსებ ქაჭკაშვილისგან 2 მ.
- 5, ზეტ. რეგ. გ. — სგან 30 მ.

შეამწიფებთ გულითად მადლობას გუძღვით. რედ.  
მ ი ი ლ ე ბ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა  
1 9 1 8 წ ლ ი ს ა თ ვ ი ს

**ვაიფურულია თანხაზე სიღარიბის**

**თანხაზე სიღარიბის**

შიიღება ხელის მოწერა 1918 წლ-სთვის  
ერთად ერთ ხათეატრო, სახელოვნო, ს მხატვრო,  
ს მუსიკო, სამწიგნობრო საზოგადოებრივ შინა-  
არსის პროგრესულ-დემოკრატიულ უპარტიო  
ხურათებიან იუმორისტულ განყოფ. ჟურნალზე



**ვაიფურულია თანხაზე სიღარიბის**

1918 გამოვა იმავე პროგრ მით, რო-  
გორც გასულ ხუთი წლის განმავლობაში  
ცნობილ და ასაუკეთესო თანამშრომელთა  
მონაწილეობით

**შანალი ღირს:** წლიურად 15 მან. ნახევარ წლით  
9 მ. რომლის გარდასა ნაწილნაწილად შეიძლება:  
ხელის მოწერის დროს 10 მ. აპრილის დამლევს 3 მ,  
დანარჩენიც მარამობის გასულს.

**ხელის მოწერა შეიძლება** თბილისში რედაქციაში  
ლექს ბალის პირდაპირ, ძველ მეწიგნეთა რიგზე, სახი  
ის თავში, ბაზრის ქუჩა სახლი არჯევანიძისა № 20)  
**ფოსტით:** თიფლის რედ. „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБА,  
Юсифу Имедашვილი

**შანალი ღირს:** ჟურნალის გაწერვის მსურველთ ვთხოვთ  
დროით დაიკვეთონ, რომ მისამართების ბეჭდვა მოვას  
წილით. ძველმა ხელის მოწერებმა ძველი მისამართის  
წამერი გვაცნობონ.

რედაქციის გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

**სახელო საქმი** საზოგადოებრივი და სა-  
ლიტერატურული გაზე-  
თი ხელის მოწერის შირობები: წლით 50 მან.

ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50  
კ. 1 თვით—4 მან. 50 კ. ნომერი ეღირება 20  
კპ. ხელის მოწერის შირობები შეიძლება შეიცვალდეს  
თუ ბ.ზრის მდგომარეობაში გვადიუღა“ ფოსტით  
ახეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:  
თბილისი. რედაქცია სასახლე სახმე ფოსტის  
უთი 190, რედაქციაში მიიღებს დღის 9 საათი  
დან 3 საათამდე, სადამოთი 5—7 საათამდე.  
რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. № 6, შეს-  
ვალი უბანი. კვირათით კანტორა მხოლოდ დ-  
ისით არის დია. უგულა ხელის მოწერის ვინც  
მიიღო რედაქციიდან ხელის მოწერა ბლანკები  
გთხოვთ ფული გამოგზავნონ შეცვლილ ბლანკების  
მიხედვით.

**საქართველო** ხელის მოწერის ფასი  
ერთის წლით 50 მან

6 თვით 27 მან- 3 თვით 13 მან 50 კპ. 1  
თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ.ნ. 50 კპ:  
ნომერი ეღირება 20 კპ. ფოსტით გაზეთის დაკ-  
ვთა შეიძლება შემდეგი მისამართით: ტიფლის,  
კანტორა გ.ზეთი საქართველო, პოსტის უთი 76.  
კანტორაში ხელი მოწერა მიიღება 9 საათიდან  
3 საათამდე, სადამოთი: 5—8 საათამდე. კვირათ-  
ბით მხოლოდ დღისით. მისამართი: სასახლე ქ.  
№ 5, ქართული ქარვასლა.

**ჩვენი რესპუბლიკა** „საქართვე-  
ლოს რადი-  
კალ დემოკრატიულ კლესთა უფლებდრონი გაზ.  
1 წლ. 30 მან, 6 თვ. 17 მ., 3—9 მ., 1—3 მ. —  
რედაქცია დროებით მოთავსიბული  
საქართველოს ეროვნულ ქარვასლაში.

რედაქცია დროებით მოთავსიბული  
საქართველოს ეროვნულ ქარვასლაში.

**ქართული კლესები**

- 1 კვირის პროგრამა
- კვირა—სალამო წარმოდგენა.
- ორშაბათი—ოპერა. მუსიკა
- სამშაბათი—საოჯახო სალამო
- ოთხშაბ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. თარკ.
- ხუთშაბ.—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
- პარასკ.—ოპერა.
- შაბ.—საოჯახო სალამო
- კვირა რუსული—წარმოდგენა.